

ნინო ქიტიაშვილი

ელექტრონული მთავრობის კონცეფციის განხორციელება
საქართველოში

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2008 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი, [ნინო ქიტიაშვილი]

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკატერინე ნაცვლიშვილი

თანახელმძღვანელი:

თარიღი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: ნინო ქიტიაშვილი

დასახელება: ელექტრონული მთავრობის კონცეფციის

განხორციელება საქართველოში

ფაკულტეტი : იურიდიული

ხარისხი: საჯარო მმართველობის მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ნინო ქიტიაშვილი

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

Abstract

შინაარსი

რეზიუმე

Abstract.....

შესავალი -----

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი 1. ელექტრონული მთავრობის ფორმირებისა და რეალიზაციის ორგანიზაციული ასპექტები ინფორმაციული საზოგადოების დამკვიდრების პირობებში

1.1 ინფორმაციის როლი ელექტრონულ მთავრობაში, საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება (საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება, გზა ელექტრონული მთავრობისაკენ)-----

1.2 ელექტრონული მთავრობის ტერმინის განმარტება -----

1.3 ელექტრონული მთავრობის განვითარების ეტაპები-----

1.4 ელექტრონული მთავრობის პროექტების საზღვარგარეთული გამოცდილება -----

(საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობის პირობებში.)

თავი 2. ელექტრონული მთავრობის კონცეფციის რეალიზება საქართველოში

2.1 ელ-გამჭირვალობა საქართველოში (ელ-საქართველოს სტრატეგია)---

2.2 საქართველოში ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზება, საინფორმაციო უზრუნველყოფა -----

2.3 საკანონმდებლო ბაზა, საზღვარგარეთის გამოცდილება -----

თავი 3. ელექტრონული მთავრობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

3.1 ელექტრონული მთავრობის ძლიერი და სუსტი მხარეები, საფრთხეები -----

შედეგები და მათი განსჯა

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

წლების მანძილზე მოქალაქეთა მომსახურების პროცესი იყო უცვლელი, ეს იყო უსასრულო რიგები რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაში. საკმარისია მხოლოდ სიტყვა რიგის ხსენება, რომ ჩვენ ნათლად წარმოვიდგენთ ხალხის მასას, ჩახუთულობას ხშირ შემთხვევაში, ხმაურს. ის დრო, რასაც რიგში დგომაში ვკარგავთ, არ ნიშნავს იმას, რომ ზუსტად იმას მივიღებთ, რაზეც მივედით. უფრო ხშირად, კი ამ რიგში ხალხი მხოლოდ გარკვეული სახის საკითხზე იდგა, სადაც ერთი საბუთის მისაღებად საჭიროა კიდევ სხვა საბუთი, რისთვისაც ჩვენ უნდა გადავიდეთ სხვა ადგილას, შემდეგ უკან დავბრუნდეთ და დავდგეთ ისევ რიგში. ან არ არის საკმარისი ხელთ არსებული დოკუმენტი, რომლისთვისაც უნდა დაბრუნებულიყავით სახლში და აღმოჩნდებოდა, რომ მთელი დღეს ვკარგავდით საქმის გასაკეთებლად, დრო კი უმრავლესობისათვის დიდი ფუფუნებაა, ყველას აქვს სამუშაო, ოჯახი, ვალდებულებები და ხშირად ამდენი დროის კარგვა ბევრ სირთულეს უკავშირდება. ამის შემდეგ სხვადასხვა ქვეყნებმა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება დაიწყეს ურთიერთობების გასაუმჯობესებლად და როგორც შემდგომ თემაში დავინახავთ, იმდენად შორს წავიდა ეს პროცესი რომ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებიდან სახელმწიფოს მმართველობის თითქმის ძირეული ცვლილება გამოიწვია. ცვლილებები ძირეული და არსებითია როგორც ინფორმაციაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში, ასევე მთავრობაში, რომელსაც სჭირდება მექანიზმები, რაც შეიძლება პროდუქტიული და ხარისხიანი იყოს მის მიერ გაწეული მომსახურება. შესაბამისად, ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა, ამ უკანასკნელის მისაღწევად კი მომსახურების უწყვეტ რეჟიმში გაწევა, სასარგებლო ინფორმაციით მათი უზრუნველყოფა, სამთავრობო ინფორმაციის გამჭვირვალობა, ასევე ელმთავრობის ერთიანი ფანჯარა, და მისაწვდომობა საზოგადოებისათვის, რეგულირებისათვის

შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა, შემდეგ შეფასება და კონტროლი, საზოგადოების თითოეული წევრის მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ და მართვის პროცესებში, ესაა ძირითადი საკითხები, რომლის განხორციელების წინაშეც დგას ელმთავრობა.

ელექტრონული მთავრობის ფორმა მხოლოდ განვითარებული ქვეყნებისათვის არ არის დამახასიათებელი. არანაკლებ მნიშველოვანი და საჭიროა თანამედროვე ინფორმაციულ-ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება განვითარებად ქვეყანებში, რომლებიც ცდილობენ ჩადგინონ განვითარებული ქვეყნების რიგებში ელექტრონული მთავრობისა და მმართველობის შექმნისა და განვითარების გზით.

აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი სახემწიფოს მხრიდან მხოლოდ რაც შეიძლება მეტი კომპიუტერის შეძენითა და ვებგვერდის შექმნით არ შემოიფარგლება. ეს პროცესი მოითხოვს დეტალურ დაგეგმვას, პოლიტიკურ ნებას, საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსების გონივრულ გამოყენებას.

ელ.მმართველობა გარკვეულწილად ტექნოლოგიების გამოყენებით ქმნის ახალ თანამედროვე პლატფორმას სახემწიფოსა და მოქალაქე შორის ურთიერთობისათვის, რაც რევოლუციური ფორმას შეიძლება შევადაროთ, რომელიც აუმჯობესებს მოქალაქეების ცხოვრების ხარისხს ყველგან, ადგილმდებარეობის მიუხედავად, როგორც ქალაქში, ასევე სოფლად და ნაკლებად დასახლებულ ადგილებში, ელ-მმართველობა ქმნის თანაბარ პირობებს ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის სამთავრობო რესურსების ადვილად ხელმისაწვდომობის გზით.

„ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და გავრცელების ფონზე, დადებით ზეგავლენასთან ერთად მომხმარებელი ბევრი ახალი საფრთის წინაშე დააყენა. ყოველდღიუ ცხოვრებაში სულ უფო მეტი ადამიანი იყენებს კომპიუტერულ და მობილურ ტექნიკას, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მიერ შეთავაზებულ ელექტრონულ სერვისებს, სხვადასხვა კომპიუტერულ სისტემებს, რაც დროისა და სხვა

რესურსების ეკონომიის, სამუშაოს უფრო ეფექტურად განხორციელების, ინფორმაციის მოზიების სიმარტივის გარდა, სხვა უამრავ სარგებელს მოიცავს. სარგებელთან ერთად სულ უფრო მზარდია საფრთხეები, რომლებიც უკავშირდება ინფორმაციის დაკარგვას ან გამჟღავნებას, მნიშვნელოვან ინფორმაციაზე არასანქცირებულ წვდომას, კონფიდენციალურობის დარღვევას, პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას და ა.შ.¹.

„სამწუხაროდ რისკები იზრდება არა მხოლოდ ინფორმაციასთან მიმართებაში, ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევა შეიძლება სერიოზულ მატერიალურ ზარალთან ან მორალურ ზიანთან იყოს დაკავშირებული“².

¹ http://www.dea.gov.ge/uploads/Egov_GuideBook.pdf

² http://www.dea.gov.ge/uploads/Egov_GuideBook.pdf

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I. ელექტრონული მთავრობის ფორმირებისა და რეალიზაციის ორგანიზაციული ასპექტები ინფორმაციული საზოგადოების დამკვიდრების პირობებში

1.1 ინფორმაციის როლი ელექტრონულ მთავრობაში, საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება (საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება, გზა ელექტრონული მთავრობისაკენ)

ელექტრონული მთავრობის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა, ვფიქრობ, რომ მხოლოდ გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების კონტექსტშია შესაძლებელი. ამ ტექნოლოგიის სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესი პირდაპირ უკავშირდება სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობების ღრმა ტრანსფორმაციას, რაც გამოწვეულია კომპიუტერიზაციით, ინტერნეტითა და სოციალური ქსელების წარმოქმნით. ეს გარემოება მოითხოვს საინფორმაციო საზოგადოების კონცეფციის ცალკეულ განხილვას.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის მსოფლიო განვითარების ძირითადი ტენდენცია იყო მაღალგანვითარებული ქვეყნების თანდათანობით გადასვლა პოსტ-სამრეწველო (საინფორმაციო) საზოგადოებაში.

"პოსტ-სამრეწველო საზოგადოების" კონცეფცია პირველად 1959 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა დ.ბელმმა გამოიყენა. მოგვიანებით, თავის ნაშრომში, "პოსტ ინდუსტრიული საზოგადოება", მან გამოაქვეყნა პოსტ-სამრეწველო საზოგადოების კონცეფცია, რომელშიც ნებისმიერი საზოგადოების განვითარებისათვის სამი საფეხური გამოავლინა: წინასამრეწველო, სამრეწველო და პოსტ-სამრეწველო ¹.

"საინფორმაციო საზოგადოება", როგორც ტერმინი, არაა კონკრეტული

¹ Мельникова Т. Абубикерова Э., *Электронное правительство*, Саратов, 2018, 7

შინაარსის, იგი ძალიან ფართოა და მოიცავს პირველ რიგში ინფორმაციულ ინდუსტრიას, რომელიც ვითარდება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურულ სფეროებში ინფორმაციისა და ცოდნის გაზრდის ფონზე. ეს ტერმინი ასახავს იმას, რომ ძირითადი სტრატეგიული რესურსია ინფორმაცია და ცოდნა. აღნიშნული კონცეფციის განვითარების პირველი იდეოლოგებად ითვლებიან მეცნიერები, ე.მუშუდა, დ. ბელი, ი. მარტინი და ე. ტოფლერი. **Е. Масуду, Д. Белла, И. Мартина и Э. Тоффлера.**

ტერმინი გამოყენებულ იქნა 1966 წელს იაპონიაში სამეცნიერო, ტექნიკური და ეკონომიკური კვლევის ჯგუფის მოხსენებაში. განცხადებაში ნათქვამია, რომ საინფორმაციო საზოგადოება ხასიათდება მაღალხარისხიანი ინფორმაციის სიჭარბით და მისი განაწილების ყველა საჭირო საშუალებებით. "პოსტ-სამრეწველო საზოგადოების" კონცეფციის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის დ. ბელის განცხადებით, ტერმინი "საინფორმაციო საზოგადოება" არის პოსტ-სამრეწველო საზოგადოების ახალი სახელი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი სოციალური სტრუქტურის განსაზღვრის საფუძველია ინფორმაცია².

თანამედროვე შეხედულებების მიხედვით, საინფორმაციო საზოგადოება არის საზოგადოება, სადაც ინფორმაცია აღიარებულია, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი და მისი წარმოება და მოხმარება წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობას, ამასთან საინფორმაციო გარემო, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოსთან ერთად, იქცა ადამიანური ყოფიერების ახალ გარემოდ.

მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო საზოგადოება ადგილობრივად ყალიბდებოდა და ყალიბდება ახლაც, სხვადასხვა ქვეყნებში ეს პროცესი სხვადასხვა ინტენსივობითა და თავისებურებით მიმდინარეობს, საინფორმაციო საზოგადოებისკენ სწრაფვა წარმოადგენს განვითარებულ და განვითარებულ ქვეყნებს ზოგად ტენდენციას. „ მისი განვითარების ორ

² Мельникова Т. Абубикерова Э., **Электронное правительство**, Саратов , 2018 , 7

ძირითადი მოდელ გამოყოფენ: დასავლეთისა და აღმოსავლეთის. დასავლეთის მოდელში ევროპის მიერ შერჩეული გზა განსხვავდება ამერიკულისაგან, ხოლო აღმოსავლეთის მოდელში ჩინეთს (PRC) ამ კუთხით განსაკუთრებული ადგილი უკავია ³.

ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებაში ინფორმაციულ საზოგადოებაში გადასვლის პროცესი არის პროცესი, რომელიც ინფორმაციული გარემოს ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის მოითხოვს მატერიალურ რესურსს, საინფორმაციო მომსახურების ინდუსტრიის განვითარებასა და მისი საზოგადოების ყველა წევრამდე მიტანას. სწორედ ამ პროცესის განვითარების სხვადასხვა ხედვის გამოა რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი სხვადასხვა გზით მოძრაობს.

დასავლეთის მოდელში ევროპული იმით განსხვავდება ამერიკულისაგან, რომ ევროპული მოდელი ეძებს ბალანსს სახელმწიფო კონტროლსა და საბაზრო კანონებს შორის, რაც შეეხება ამერიკულ მოდელს, აქ პირიქითაა, სახელმწიფოს ფუნქციები მინიმუმამდეა დაყვანილი და კერძო სექტორის აქტივობა მაქსიმუმზე ადის. მთავარი ამ მიდგომაში არის ის, რომ დატოვოს ყველაფერი კერძო სექტორისა და ბაზრის ხელში, მოახდინოს ინფორმაციისა და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზრის სრული ლიბერალიზაცია. თუმცა, არის საკითხები რაშიც ეს ორი მოდელი გარკვეულწილად თანმხდება, კერძოდ, შეერთებული შტატები სოლიდარობას უწევს დიდ ბრიტანეთს იმ საკითხში, რომ პირველ რიგში აუცილებელია საინფორმაციო ქსელების მოწყობა, რის საფუძველზეც შემუშავდება შემდეგ მომსახურების სექტორი.

სწორედ მომსახურების სექტორზე ხდება ორიენტირება, მიზანი "უნივერსალური მომსახურების" განვითარებაა. ევროკავშირის ქვეყნების სერიოზული შეშფოთება უკავშირდება ინფორმაციულ საზოგადოებაში უთანასწორობის პრობლემის გამწვავებას, როდესაც

³ Мельникова Т. Абубикерова Э., **Электронное правительство**, Саратов , 2018 , 7

მოსახლეობის უმრავლესობა უბრალოდ შეიძლება დარჩეს მომსახურების გარეშე ⁴.

საინფორმაციო საზოგადოების განვითარების აღმოსავლეთის მოდელის წარმომადგენლები ცდილობენ განავითარონ ალტერნატიული დასავლური მიდგომა, რომელიც ეფუძნება, პირველ რიგში, საკუთარი ღირებულების ორიენტაციის დამტკიცებას ინდუსტრიალიზაციის, ინფორმატიზაციისა და სოციალური განვითარების კუთხით. იგი წარმოადგენს სახელმწიფოსა და ბაზარს შორის თანამშრომლობის, კონფუციზმისა და სოციალური ცვლილებების დამახასიათებელ კულტურულ ფასეულობებს შორის კავშირის ჩამოყალიბების მცდელობას. აზიის პოლიტიკოსების აზრით, თანაარსებობისა და თანამშრომლობის კეთილდღეობის ფილოსოფიური პოსტულატები, ასევე სახელმწიფო დახმარების გაწევა ცალკეული ორგანიზაციის დონეზე, წარმატების გასაღებია. აღმოსავლეთის მოდელის ფარგლებში, იაპონია და "აზიური ვეფხვები" გამოირჩევიან, ზოგიერთ ცვლილებაში აღინიშნა ჩინეთში და ინდოეთშიც ⁵.

1.2 ელექტრონული მთავრობის ტერმინის განმარტება

ტერმინი "ელექტრონული მთავრობა" 1990-2000 წლების დასაწყისში დასავლეთში გამოჩნდა, როდესაც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა დაიწყეს საზოგადოების პოლიტიკურ სფეროში შეჭრა. მასში იგულისხმებოდა როგორც ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ინტერნეტ ტექნოლოგიებით ურთიერთობები, ასევე ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ფორმა სოციალურად მნიშვნელოვან გადაწყვეტილების მიღების დროს.

ელექტრონული მთავრობის იდეისა და კონცეფციის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 2000 წლის 22 ივლისს ქ. ოკინავაში, დიდი რვიანის ქვეყნების ლიდერების მიერ: გაერთიანებული სამეფო, გერმანია,

⁴ Мельникова Т. Абубикерова Э., *Электронное правительство*, Саратов, 2018, 10

⁵ იქვე, 10

იტალია, კანადა, რუსეთი, აშშ, საფრანგეთი და იაპონია, "გლობალური ინფორმაციის საზოგადოების ქარტიაზე" ხელის მოწერამ. ოკინავას ქარტია აღიარებს, რომ "საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს 20-ე საუკუნის საზოგადოების ფორმირებაზე, (ქარტიის 1-ლი პუნქტი); მეორე მხრივ, აღიარებს სახელმწიფო ინსტიტუტის წამყვან როლს ეკონომიკურ, სოციალურ (კერძოდ, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის) და პოლიტიკურ სფეროში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და განხორციელებაში. შესაბამისად, ამ ქარტიის ხელმომწერ სახელმწიფოთა მთავრობები ვალდებული არიან ხელი შეუწონ საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარებას და ვინაიდან, ელექტრონული მთავრობა მხოლოდ საინფორმაციო საზოგადოების ძირითად სატელეკომუნიკაციო სტრუქტურას ეხება, ელ-მთავრობა ეროვნული მთავრობების დღის წესრიგში გამოჩნდა.

ელექტრონული მთავრობის განსაზღვრების მრავალი მცდელობა და ვარიანტი არსებობს. ეს კი განპირობებულია იმით რომ დეფინიცია სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით ხდება, იქნება ეს პოლიტიკური პრიორიტეტები, მიზნები, ამოცანები, ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პირობები ⁶.

ელექტრონულ მთავრობას ხშირად მოიხსენიებენ როგორც ელმთავრობა, ციფრული მთავრობა, მთავრობა ონლაინში და კიბერმთავრობა. ეს დეფინიციები ერთსა და იმავე აზრს გამოხატავენ. მას შემდეგ, რაც ეს ტერმინი პირველად გაჩნდა აშშ-ში, 1993 წელს, მისი კონცეფცია თანდათან მატერიალიზირებულ იქნა საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ადმინისტრირებას შორის ურთიერთაკვშირში ⁷.

ელექტრონული მთავრობის კონცეფციის დანერგვასთან ერთად მისი განსაზღვრება მუდმივად განიცდიდა ევოლუციას და უფრო ღრმავდებოდა. დაიწყო სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში საინფორმაციო-

¹ ინასარიძე ნ. ელექტრონული მთავრობა, თბილისი, 2007, ??

² იქვე ??

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტის მარტივი გამოყენებიდან და ბოლოს მივიდა სახელმწიფო მმართველობის გლობალურ გარდაქმნამდე. განსაზღვრების ჩამოყალიბების მცდელობებს შორის იყო ისეთი განმარტებები, როგორცაა: ელექტრონული მთავრობა, როგორც ინტერნეტის გამოყენება მოქალაქეებისათვის ინფორმაციის და სერვისების მიწოდებაში ⁸, როგორც ინტერნეტზე დაფუძნებული ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მოქალაქეებისათვის სახელმწიფო ინფორმაციის და სერვისების გაუმჯობესებული მიწოდებისათვის ⁹, ასევე მსოფლიო ბანკის (World Bank) მიხედვით: „ელექტრონული მთავრობა არის მთავრობის ეფექტურობის, ეკონომიურობის და გამჭვირვალობის ამაღლებაში და მასზე საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ¹⁰“, ეს იყო ელექტრონული მთავრობის ვიწრო გაგებით განმარტება, რაც შემდგომ გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში გაფართოვდა მთავრობის სტრუქტურების ტრანსფორმაციით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლის მიზანია დემოკრატიული ურთიერთობების განვითარება მთავრობას, მოქალაქეებს და სხვა სუბიექტებს შორის ¹¹. როგორცაა მაგალითად : „ელექტრონულ მთავრობა წარმოადგენს საჯარო სამსახურში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შერჩევას, განხორციელებას და გამოყენებას და უზრუნველყოფს სამთავრობო მომსახურების მიწოდებას, მმართველობის ეფექტურობის გაუმჯობესებას და დემოკრატიული ფასეულობების და მექანიზმების პოპულარიზაციას ¹²“,

⁸ UNDPEPA, and ASPA. (2002). “Benchmarking E-government: A Global Perspective: Assessing the Progress of the UN Member States.” Retrieved from

<http://unpan3.un.org/egovkb/Portals/egovkb/Documents/un/English.pdf>

⁹E E-Government Act (2002) Pub. L. No. 107-347, 116 Stat. 2899, at 2902 Retrieved from

<http://www.gpo.gov/fdsys/pkg/PLAW-107publ347/pdf/PLAW-107publ347.pdf>

¹⁰ World Bank . What is e-Government?. Retrieved <http://www.worldbank.org/en/topic/ict/brief/e-government>

¹¹ ელექტრონული მთავრობის ცნება და განვითარების მოდელი

¹² Gil-Garcia, J. R., & Luna-Reyes, L. F. (2006). Integrating conceptual approaches to e-government. In M. Khosrow-Pour (Ed.), Encyclopedia of e-commerce, e-government and mobile commerce (pp. 636-643). Hershey, PA: Idea Group Inc.

"ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მთავრობების მიერ და ინტერნეტისა და მასთან დაკავშირებული ქსელური ტექნოლოგიების პოტენციალის გამოყენება ხელისუფლების სტრუქტურებისა და ოპერაციების გარდაქმნაში ¹³. "

მოკლედ, გამოვიდა, რომ ელექტრონული მთავრობა უფრო ფართო ცნებაა, იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვით სახელმწიფო მმართველობაში და სახელმწიფო ორგანოების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებით, ის სახელმწიფო ინფორმაციას და ელექტრონულ სერვისებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტის მეშვეობით აწვდის მოქალაქეებს, ბიზნესს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ხელისუფლების სხვა შტოების წარმომადგენლებს და ამ პროცესის დროს ხდება მთავრობის სტრუქტურების და ფუნქციების ტრანსფორმაცია, რაც ხელს უწყობს ელექტრონული დემოკრატიის განვითარებას.

1.3 ელექტრონული მთავრობის განვითარების ეტაპები

საერთაშორისო ორგანიზაციების, კონსალტინგური ფირმების და მკვლევარების მიერ შემუშავებულია ელექტრონული მთავრობის მოდელები რესურსების, პროცესების, ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურის და ვებ-წვდომის საფუძველზე. ელექტრონული მთავრობის ტიპების დახასიათება და მაგალითები რომლებიც საფუძველად დაედო სხვადასხვა მოდელის შემუშავებას მოცემულია ¹⁴ ცხრილი 1.

აქ წარმოდგენილი ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელი წარმოადგენს ელექტრონული სერვისების გამოყენების ზრდის მოდელს და შედგება 4 ეტაპისაგან ².

1 ეტაპი – ვებ წვდომა

მოცემულ ეტაპზე ხდება რეგულარულად განახლებადი სახელმწიფო ვებ-

¹³ OECD Glossary of Statistical Terms. .Retrieved from <http://stats.oecd.org/glossary>

¹⁴ ელექტრონული მთავრობის ცნება და განვითარების მოდელი

ცხრილი 1. ელექტრონული მთავრობის ტიპების დახასიათება და მაგალითები ¹⁴

ელექტრონული მთავრობის ტიპები	დახასიათება	განსაზღვრება	მაგალითი
G2C-C2G	სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ელექტრონული ურთიერთქმედება, რომელიც ხელს უწყობს სამთავრობო ინფორმაციაზე და სერვისებზე გამარტივებულ დაშვებას და მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.	ელექტრონული მონაწილეობა	ელექტრონული კონსულტაციები, ელექტრონული პეტიციები, ელექტრონული არჩევნები. გადასახადების, მოსაკრებლების და ჯარიმების ინფორმაციული სისტემები. სოციალური უზრუნველყოფის ინფორმაციული სისტემები (პენსიები, შემწეობები, შეღავათები)
G2B-B2G	სახელმწიფო და ბიზნეს ორგანიზაციებს შორის ელექტრონული ურთიერთქმედება, რომელიც ხელს უწყობს ელექტრონული ბიზნესის მექანიზმების განვითარებას, კონკურენტუნარიანი პროდუქციის და მომსახურების წარმოებას, სახელმწიფო საჭიროებებისათვის პროდუქციის მიწოდების მართვის	ელექტრონული ბიზნესი	ელექტრონული შესყიდვები, ელექტრონული ტენდერები, ელექტრონული აუდიტი. საბაჟო, საგადასახადო და საკანონმდებლო ორგანოების ინფორმაციული სისტემები. სერთიფიცირების და ლიცენზირების ინფორმაციული სისტემები

	სისტემის გაუმჯობესებას.		
G2G	სახელმწიფო ორგანოების სხვადასხვა შტოებს შორის ელექტრონული ურთიერთქმედება, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის და დოკუმენტბრუნვის შენახვის სტანდარტების თავსებადობას, უწყებათშორისი, რეგიონალური და ადგილობრივი საინფორმაციო სისტემების და მონაცემთა ბაზების შემუშავებას	ელექტრონული მმართველობა	შიდა ორგანიზაციული მონაცემთა ბაზების გაცვლა, საბაჟო, საგადასახადო და საკანონმდებლო ორგანოების ინფორმაციული სისტემები
G2N-N2G	სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ელექტრონული ურთიერთქმედება, რომელიც ხელს უწყობს საჯარო პოლიტიკის განხორციელებაში გადაწყვეტილების მიღების პროცესს.	ელექტრონული დემოკრატია	ელექტრონული მედიაცია, ელექტრონული დისკურსი, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ინფორმაციული სისტემები

¹⁴ <http://inso.ge/inso2017/wp-content/uploads/2017/07/1-zautashvili-qarqashadze.pdf>

ვებ-საიტების შემუშავება, სადაც განთავსებულია ძირითადი სახელმწიფო ინფორმაცია (კანონები, განკარგულებები, დადგენილებები) და სახელმწიფო დეპარტამენტების და სამინისტროების ბმულები. სახელმწიფო ინფორმაცია ძირითადად განკუთვნილია მოქალაქეებისათვის (G2C).

2 ეტაპი - გაუმჯობესებული ვებ წვდომა

ამ ეტაპზე სახელმწიფო აწვდის უფრო მეტ ინფორმაციას და სერვისებს მოქალაქეებს და ბიზნესს.(G2C, G2B) ასევე ხდება სახელმწიფოს სხვადასხვა შტოებს შორის ინფორმაციული ურთიერთქმედების განვითარება.

ხორციელდება უწყებათშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი დონის მონაცემთა ბაზების და ინფორმაციული სისტემების შემუშავება. (G2G)

სამთავრობო სააგენტოები მოქალაქეებს და ბიზნესს თავაზობენ მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის, სერვისების და აპლაკაციების გადმოწერის შესაძლებლობას.

3 ეტაპი: ტრანზაქცია

ამ ეტაპზე ონლაინ სერვისები ინტერაქტიულ რეჟიმში მუშაობენ და მომხმარებელს შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია ამა თუ იმ საინტერესო საკითხზე, ასევე შესაძლებელია ლიცენზიების, ფინანსური გადარიცხვების და სხვადასხვა ტიპის მომსახურებების ონლაინ განხორციელება.(B2G, C2G) ბიზნესი ღებულობს აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო ელექტრონულ ტენდერებში.

4 ეტაპი : ელექტრონული დემოკრატია

ამ ფინალურ ეტაპზე სახელმწიფო მოქალაქეებს, ბიზნესს და არასამთავრობო ორგანიზაციებს აწვდის ელექტრონული სერვისების მთლიან ნაკრებს და იმავდროულად ინტერაქტიური სერვისების მეშვეობით უზრუნველყოფს მათ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში¹⁵. (ცხრილი 2)

¹⁵ ელექტრონული მთავრობის ცნება და განვითარების მოდელი

ცხრილი 2. ელექტრონული მთავრობის განვითარების ეტაპები ¹⁵

ელექტრონული მთავრობის ეტაპები	ელექტრონული სერვისები
1 ეტაპი Web-presence	G2C
2 ეტაპი Enhanced web-presence	G2C, G2G, G2B
3 ეტაპი Transaction	G2C, C2G, G2G, B2G, G2B
4 ეტაპი ელექტრონული დემოკრატია	G2C, C2G, G2G, B2G, G2B, G2N, N2G

¹⁵ <http://inso.ge/inso2017/wp-content/uploads/2017/07/1-zautashvili-qargashadze.pdf>

სწორედ ამ უკანასკნელ ეტაპზე ხორციელდება ელექტრონული მთავრობის ფუნქციებისა და სტრუქტურების ტრანფორმაცია, რაც გამოიხატება მოქალაქეების, ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამით სახელმწიფო თავისი მმართველობითი ფუნქციების ნაწილს ელექტრონული დემოკრატიის განვითარების შესაბამისად თანდათან გადასცემს მათ.

აქედან გამომდინარე ელექტრონული დემოკრატია შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავების და მიღების პროცესში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ყველა დაინტერესებული მხარეების აზრის ელექტრონული ფორმით გათვალისწინება სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე. (ცხრილი 2)

ელექტრონული მთავრობის ურთიერთქმედებების ფორმები: მთავრობა-მთავრობა G2G - ელექტრონული მთავრობა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით საშუალებას იძლევა დამყარდეს შიგა და გარე კავშირები სახელმწიფო ორგანოებს შორის. მთავრობა - მოქალაქე G2C/C2G - მოცემული ფორმის ფარგლებში ხორციელდება სამთავრობო უწყებების და მოქალაქეების ურთიერთქმედება ელექტრონული სერვისების მეშვეობით. ამასთანავე სახელმწიფო მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ელექტრონული მონაწილეობა მიიღონ მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მთავრობა - ბიზნესი G2B/B2G - ელექტრონული მთავრობის დანერგვა საშუალებას იძლევა სახელმწიფო ორგანოების დანახარჯების შემცირების საშუალებას გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების სისტემის (e-procurement) მეშვეობით.

მთავრობა - არასამთავრობო ორგანიზაციები G2N/N2G - წარმოადგენს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ყველაზე უფრო სუსტად განვითარებულ ფორმას. მისი ძირითადი დანიშნულებაა

ინფორმაციული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციული საზოგადოების განვითარების მიზნით¹⁶.

დღესდღეობით არ არის ცალსახად მიღებული ელექტრონული მთავრობის განვითარების ერთი რომელიმე მოდელი. ზოგადად ელექტრონული მთავრობის განვითარების ეტაპები ზოგიერთი ავტორის შემთხვევაში ერთმანეთის მსგავსია, თუმცა განსხვავებულია ელექტრონული მთავრობის განვითარების და სისრულეში მოყვანის ეტაპების რაოდენობა და ამ ეტაპების მახასიათებლები და მაჩვენებლები. საერთაშორისო ორგანიზაციები და მეცნიერები უპირატესობას ანიჭებენ ამა თუ იმ მოდელს იმ პირობიდან გამომდინარე, თუ რომელი მაჩვენებელი არის პრიორიტეტული მოდელის აგების დროს (რესურსები, ტექნოლოგიები, ვებ-წვდომა). აქ წარმოდგენილი მოდელი განეკუთვნება ელექტრონული მთავრობის განვითარების ევოლუციურ მოდელს. მასში მკაფიოდ არის განსაზღვრული ეტაპების განსხვავება სახელმწიფო ორგანოების მიერ მიწოდებული ელექტრონული სერვისების სისრულის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ N2G და G2N დონის ურთიერთქმედების ინფორმაციული სისტემები ელექტრონული მთავრობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი და წარმოადგენენ სამომავლო კვლევების აქტუალურ ამოცანას¹⁷.

¹⁶ ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელი ელექტრონული სერვისების ბაზაზე

¹⁷ ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელი ელექტრონული სერვისების ბაზაზე

1.4 ელექტრონული მთავრობის პროექტების საზღვარგარეთული გამოცდილება

(საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი ევექტიანი სახელმწიფო მმართველობის პირობებში.)

თითოეული ქვეყნის ელექტრონული მთავრობის განვითარების სტრატეგია განსხვავდება ერთმანეთისაგან, რამდენადაც იგი განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: პოლიტიკური იდეოლოგია, ეკონომიკური და სოციალური სისტემები, განვითარების დონე, რესურსების არსებობა, ადმინისტრაციული და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, ინსტიტუციონალური მოწყობა, კულტურული ტრადიციები და სხვა. ასევე განსხვავებულია მიდგომები ელმთავრობაზე პასუხისმგებელ ორგანოსთან: 1) ცენტრალიზებული, უშუალოდ ქვეყნის პირველ პირზე დაქვემდებარებული. აშშ-ში, კორეასა და საფრანგეთში შექმნილია სპეციალური ორგანოები, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან ქვეყნის პირველ პირს, პრეზიდენტს ან პრემიერმინისტრს. 2) ორგანიზაცია, რომელიც კურირებს ეროვნული ინფორმატიზაციის სფეროს. იაპონიაში, ავსტრალიაში, სინგაპურში, გაერთიანებულ სამეფოსა და სხვა ქვეყნებში არ მოქმედებს ასეთი გამოყოფილი სტრუქტურები. არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ნაციონალური პოლიტიკის შემუშავებას ინფორმაციის დარგში და, შესაბამისად, კურირებენ ელმთავრობის პროექტების განხორციელებას. 3) სპეციფიკური დეპარტამენტები. კანადაში, გერმანიაში და იტალიაში არ არსებობს გამოყოფილი ელმთავრობის ორგანიზაცია, მაგრამ არსებობს სისტემა, სადაც ფუნქციონირებენ სპეციფიკური დეპარტამენტები, რომლებიც კურირებენ ელმთავრობის პროექტებს¹⁸.

¹⁸ <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0-0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.24&d=HASH01bbd3b41310eb4baa85915f>=2>

"ელექტრონული სახელმწიფოს" დანერგვა იწყება 1990-იანი წლებიდან სახელმწიფო ადმინისტრირების რეფორმების დაწყებით. დღეს, სხვადასხვა ქვეყნებში ელექტრონული მთავრობის პროექტების განხორციელების პრაქტიკაში პრიორიტეტი ენიჭება ე.წ. «one-stop, non-stop» კონცეფციის (რომელიც არის უწყვეტი რეჟიმში მოქმედი ერთიანი სისტემა) განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობას და მთავრობისა და საჯარო ადმინისტრაციის კომპეტენციასთან დაკავშირებული მომსახურება. ამ პორტალებისა და ინტერნეტის კომუნიკაციების მეშვეობით იქმნება საინფორმაციო კავშირები ფედერალური ხელისუფლებისა და რეგიონალურ დონეზე სახელმწიფო ძალაუფლების სუბიექტებს შორის, ანუ ეს არის "ვერტიკალურად" ორგანიზებული ეკონომიკური, სამართლებრივი, სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის გაცვლა. გარდა ამისა, სახელმწიფო საინფორმაციო პორტალების ფარგლებში, იქმნება ელექტრონული ბაზარი საქონლისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად, მაგალითად: ხდება ბიზნესის დაინტერესება, მათი ტენდერებში ჩართვა სხვადასხვა სოციალური პროგრამების შესასრულებლად. მთავრობის პორტალების შემუშავებაში შემდგომი ეტაპია "ელექტრონული დემოკრატიისადმი" ხელშეწყობა, ურთიერთობების ახალი ფორმების შექმნა, მოქალაქეთა და სახელმწიფოს, მოსახლეობის და ხელისუფლების ყველა ფილიალსა და ამომრჩეველს შორის ინფორმაციის გაცვლა და გამომხაურება, ელექტრონული არჩევნების დანერგვა ¹⁹.

ქვემოთ სახელმწიფო დაწესებულებების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა რეგინში ვებგვერდის მეშვეობით მომხმარებლისთვის შეთავაზებული მომსახურების სტატისტიკაა მოყვანილი ²:

¹⁹ <http://ref-4you.ru/e-lektronnoe-pravitel-stvo/#ixzz5nFlcKr3M>

²⁰ გ. კიკნაძე. საქართველოში ინფორმაციის გამჭვირვალობის სამართლებრივი ბაზის მიმოხილვა, თბილისი, 2007, 17

	2002	2003	2004	2005
ჩრდილოეთ ამერიკა	28 %	41%	53%	56%
აზია	26%	26%	30%	38%
დასავლეთ ევროპა	10%	17%	20%	29%
აღმოსავლეთ ევროპა	2%	6%	8%	4%
სამხრეთ ამერიკა	7%	14%	10%	19%
რუსეთი/ცენტრალური აზია	1%	1%	2%	3%
აფრიკა	2%	5%	8%	7%

აშშ-ს მტავრობამ ელექტრონული მმართველობის დასანერგავად მუშაობა 1993 წელს დაიწყო. შემდეგ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა დიდ ბრიტანეთში, ავსტრიაში, კანადასა და ჰოლანდიაში. საკითხის განხილვა დაიწყო ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორცაა ლიდერი 8 ქვეყნისაგან შემდგარი ე.წ. დიდი რვიანი და ევროკომისია. 2000 წელს საერთაშორისო დონეზე ელექტრონული მმართველობის შემოღების საკითხებზე „დიდმა რვიანმა“ გლობალური საინფორმაციო საზოგადოების „ოკინავას ქარტია“ შეიმუშავა, ხსენებულ დოკუმენტზე დაყრდნობით საერთაშორისო ექსპერტთა საბჭო შეიქმნა, 2001 წელს გენუაში დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში საბჭომ გარკვეული რეკომენდაციები შეიმუშავა ელ-მთავრობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ²¹. ევროკომისიამ წამოიწყო ინიციატივა „ელ-ევროპა“. ინიციატივის

²¹<http://ref-4you.ru/e-lektronnoe-pravitel-stvo/#ixzz5nF1cKr3M>

ფარგლებში ევროპის კავშირმა 2000 წელს დირექტივით მიიღო გეგმა ²².

აშშ

აშშ-ში, ელექტრონული მმართველობა ხორციელდება შტატების დონეზე.

<http://www.whitehouse.gov>. აქედან, ნებისმიერი ამერიკელი შეიძლება

გადავიდეს ნებისმიერ შტატის საიტზე²³. ასევე, 2000 წლისთვის აშშ

ფუნქციონირებდა ასევე საიტი [www. Firstgov.gov](http://www.Firstgov.gov), სადაც შესაძლებელი

ფედერალური მტავრობის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაციის ძებნა ²⁴.

ელექტრონული მმართველობის იდეის განხორციელების სამაგალითო

ვერსიად შეიძლება მოვიყვანოთ ფლორიდის მაგალითი

(<http://www.myflorida.com>). აქ არის ინფორმაცია როგორც სახელმწიფოს

შესახებ (ისტორია, კულტურა), ყოველდღიურობისათვის საჭირო

ინფორმაცია (ამინდის პროგნოზი, ქარბუქის დროს ქცევის წესები, რაც

ხშირია შემთხვევაში ამ შტატში), ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მონაცემები და

ფუნქციები. მაგალითად, მძღოლის მართვის მოწმობის მოქმედების ვადის

შემოწმება.

თუმცა, ასეთი მაღალი დონის მომსახურება არ ნიშნავს პანაცეას:

საკმარისია გავიხსენოთ, რომ სწორედ ფლორიდაში ხმების დათვლის

პროცედი გახდა სკანდალის მიზეზი, ხოლო ამ არჩევნების შედეგად

პრეზიდენტი გახდა ჯორჯ ბუში. ასეთი შთამბეჭდავი მიღწევების

მიუხედავად, შეერთებულ შტატებს მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია

მოსახლეობის ინტერნეტის ქსელით უზრუნველოფის მიხედვით:

ანალიტიკოსების აზრით, მას კანადასა და სინგაპურზე უსწრებს ამ

საქმეში²⁵

²² გ. კიკნაძე. საქართველოში ინფორმაციის გამჭვირვალობის სამართლებრივი ბაზის მიმოხილვა, თბილისი, 2007, 17

²³ <http://ref-4you.ru/e-lektronnoe-pravitel-stvo/#ixzz5nFIcKr3M>

²⁴ გ. კიკნაძე. საქართველოში ინფორმაციის გამჭვირვალობის სამართლებრივი ბაზის მიმოხილვა, თბილისი, 2007, 17

²⁵ <http://ref-4you.ru/e-lektronnoe-pravitel-stvo/#ixzz5nFIcKr3M>

ინგლისი

დიდი ბრიტანეთის ცენტრალური მთავრობის საიტი

(<http://www.ukonline.gov.uk>) უზრუნველყოფს ზოგად სამთავრობო ინფორმაციას. იგი აერთიანებს ინფორმაციას და საკონსულტაციო მომსახურებას სხვადასხვა წყაროდან. ონლაინ სერვისები მიზნად ისახავს მოქალაქეებისა და სახელმწიფოს ურთიერთობა გახადოს უფრო მარტივი. ვერსია ასევე ითვალისწინებს "სწრაფი ძებნის" რეჟიმს, ცენტრალურ სამთავრობო პორტალი ukonline.gov.uk ასევე აღწერს მთელ რიგ სამთავრობო სამსახურებს, რომლებიც ამჟამად ხელმისაწვდომია მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის. ამასთან დიდი ბრიტანეთი ერთერთი პირველი ქვეყანაა, სადაც ელექტრონული არჩევნები ჩატარდა²⁶.

საფრანგეთი

საფრანგეთის ელექტრონული მთავრობის შექმნის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2000 წელს ცენტრალიზებული ადმინისტრაციულ-სახელმწიფო ინტერნეტ საიტის შექმნა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით 2.6 ათასამდე საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ერთიან ქსელზე გადავიდა. საინტერესოა, რომ პირველ წელს, 600 000-ზე მეტი ფრანგი მოქალაქე სარგებლობდა მისი მომსახურებით, მაშინ, როდესაც ქვეყანაში ინტერნეტის მომხმარებელთა საერთო რაოდენობა 6 მილიონი იყო ²⁷.

საფრანგეთის ელექტრონული მმართველობის საიტი (<http://www.service-public.fr>) მომხმარებელს ურთიერთობის სამ ვარიანტს სთავაზობს, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სტატუსით ეწვის მომხმარებელი საიტს: როგორც უბრალო მცხოვრები, კონკრეტული სპეციალობის ადამიანი თუ როგორც მოქალაქე. ძირითადად, საიტი საინფორმაციო ხასიათისაა და შეიცავს ინფორმაციას საჭირო დოკუმენტებისა და პროცედურების შესახებ

²⁶ <http://ref-4you.ru/e-lektronnoe-pravitel-stvo/#ixzz5nFlcKr3M>

²⁷ <http://ref-4you.ru/e-lektronnoe-pravitel-stvo/#ixzz5nFlcKr3M>

(მაგალითად, ქორწინების რეგისტრაცია ქორწინების ხელშეკრულებით), ინფორმაციას ტარიფებზე და გადასახადებზე. ნებისმიერი თემატური სექციიდან შესაძლებელია ამა თუ იმ სამინისტროების ვებ-გვერდებზე გადასვლა²⁸.

საფრანგეთის ელ-მთავრობის მომხმარებელთა ბაზის გაფართოების გზაზე არსებობს მთელი რიგი დაბრკოლებები. ძირითადად ეს ეხება ინტერნეტის მომხმარებლების სეგმენტებს, ვისთვისაც ხელმისაწვდომია ინეტრენეტი და ასევე კონფიდენციალურობის დაცვას. მიუხედავად ამისა, ამავე დროს, საფრანგეთის ელ-სამთავრობო სტრუქტურების განვითარებისა და გაუმჯობესების პოტენციალი უჩვეულოდ მაღალი რჩება: ქვეყნის მოქალაქეთა 71% მიიჩნევს ელ. მომსახურებას საზოგადოების ყურადღების მიპყრობის ძირითად ინსტრუმენტად და 65% თვლის რომ, ამ მომსახურებით იზოგება სახელმწიფო ხარჯები²⁹.

გერმანია

გერმანიის "ელექტრონული მთავრობის" მშენებლობის სახელმწიფო პროგრამა ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში: მისი განხორციელების ღირებულება მხოლოდ ფედერალური დონის მაჩვენებელმა დღეს 1,5 მილიარდ ევროს გადააჭარბა. 2000 წელს ამ პროგრამის სტრატეგიული მიზანი არაჩვეულებრივად იყო ასახული კანცლერის გერჰარდ შროდერის მიერ: "უნდა დარბოდეს მონაცემები და არა ხალხი". საჯარო ადმინისტრირების სისტემის ელექტრონული ფორმირების შედეგად, მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დანაზოგი იყო: 2006 წელს მხოლოდ ადმინისტრაციული აპარატის შენარჩუნების ხარჯები შემცირდა თითქმის 400 მილიონი ევროთი.

ძირითადი ვებ-რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს გერმანიაში მოქალაქეთა და ბიზნესს ონლაინ რეჟიმში, სახელმწიფო სტრუქტურებისა

²⁸<http://ref-4you.ru/e-lektronnoe-pravitel-stvo/#ixzz5nFIcKr3M>

²⁹ <http://ref-4you.ru/e-lektronnoe-pravitel-stvo/#ixzz5nFIcKr3M>

და სერვისების ხელმისაწვდომობით არის პორტალი (<http://www.bund.de>), რომელიც ამჟამად უკავშირდება 900 ფედერალურ სააგენტოს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს და ინფორმაციას 3 ათასზე მეტ თემას ეკონომიკის, სამრეწველო, იურიდიული, სამედიცინო, საგანმანათლებლო და მრავალი სხვა სფეროდან. ამ პორტალზე ყოველდღიური ზარების რაოდენობა 60 ათასს აღწევს. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე გერმანიის სახელმწიფოს რეფორმირების სამაგისტრო გეგმის ძირითადი ელემენტი იყო 2005 წლის BundOnline- ის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა 2005 წლისთვის გერმანიის მთავრობის მიზნებს. BundOnline პროგრამის ფარგლებში შემუშავდა არაერთი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ადმინისტრაციული სტრუქტურების ურთიერთობის გაუმჯობესებას როგორც ერთმანეთთან (ადმინისტრაცია ადმინისტრაციასთან, AA), კერძო ბიზნეს კომპანიებთან (ადმინისტრაცია- ბიზნეს, AB) და ქვეყნის რიგით მოქალაქეებთან (ადმინისტრაცია- mit-Staatsburger, AS). პროგრამის პირველი ეტაპზე განხორციელდა მომსახურება საინფორმაციო დონეზე. მათ შორის იყო ეკონომიკისა და შრომის ფედერალური სამინისტროს (Bundesministerium für Wirtschaft und Arbeit) ვებ-გვერდის მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფდა კერძო საწარმოების გახსნის პრობლემს, ასევე ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ფედერალური ბიუროს (Bundeskartellamts) ვებ-გვერდი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას კომპანიების გაერთიანებისა და შესყიდვების შესახებ.

თუმცა, გერმანიის ფედერალური მთავრობის ვებ-რესურსების რაოდენობა და მომსახურების მრავალფეროვნება სწრაფად გაიზარდა და მალე ისინი როგორც კორპორატიული ისე ინდივიდუალური მომხმარებლებს სთავაზობდნენ საკმაოდ ღირებული და მაღალკვალიფიციური მომსახურებას, მაგალითად, ელექტრონული ფორმით პირადობის მოწმობების გაცემას, საგადასახადო დეკლარაციის შევსება ინტერნეტით ან

ონლაინ ფინანსურ ანგარიში ბიზნესის საქმიანობაზე ³⁰.

სამხრეთ კორეა

ბრაუნის უნივერსიტეტის ექსპერტები, პროფესორ დარლელის ხელმძღვანელობით მიიჩნევენ, რომ სამხრეთ კორეაში ელექტრონული მმართველობის წარმატებით განხორციელება ხელისუფლების ძალისხმევის შედეგია.

სამხრეთ კორეის მთავრობამ, "ელექტრონული დემოკრატიის" მოდელის შექმნისას, ყურადღება გაამახვილა მოსახლეობისათვის საჭირო ინფორმაციით დაკმაყოფილებაზე და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვაზე კულტურისა და განათლების სისტემაში. "ელექტრონული დემოკრატიის" წარმატებულმა განვითარებამ სამხრეთ კორეის მოქალაქეებს საშუალება მისცა საკუთარ ძალებში დარწმუნებულიყვნენ, იმ მხრივ რომ მათ შეეძლოთ სახელმწიფოზე და საზოგადოებაზე რეალური გავლენის მოხდენა. ქვეყნის მასშტაბით ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა არა მარტო აძლიერებს სახელმწიფოს პოზიციას, არამედ დემოკრატიის ძირითად პრინციპსაც იყენებს: ხალხი არის ძალაუფლების წყარო და გამტარებელი ³¹.

ესტონეთი

ელ.მთავრობის განვითარებაში ესტონეთის წარმატება აღიარებულია მსოფლიო ექსპერტების მიერ, რომლებიც აცხადებენ, რომ ესტონეთში ელექტრონული მთავრობა სრულად ფუნქციონირებს და ერთ-ერთი საუკეთესოა. ამ ქვეყანაში, 100-ზე მეტი ელექტრონული მონაცემთა ბაზა გაერთიანებულია ერთ სისტემაში.

2011 წლის ბოლოს "ელექტრონული მმართველობის კვლევის 2012:

ელექტრონული მთავრობა ხალხისთვის" გაეროს შეფასებით, ესტონეთში ელექტრონული მმართველობის საერთო მაჩვენებელი 0.7987 (1.0

³⁰ <http://ref-4you.ru/e-lektronnoe-pravitel-stvo/#ixzz5nFIcKr3M>

³¹ <http://ref-4you.ru/e-lektronnoe-pravitel-stvo/#ixzz5nFIcKr3M>

მაქსიმალური მაჩვენებელია) და 193 ქვეყნას შორის რეიტინგით მე -20 ადგილზეა.

სტატისტიკის მიხედვით, დღეს ესტონეთის მოსახლეობის 98% 15-დან და 74 წლამდე აქტიური ინტერნეტ მომხმარებელია. ოჯახების 63% -ს პერსონალური კომპიუტერი აქვს. ხოლო ქვეყნის მაშტაბით უკაბელო ინტერნეტის (www.wifi.ee) დაახლოებით 1000 მაღალტექნოლოგიური ზონაა.

ეს ციფრები ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მეზობელ ბალტიის ქვეყნებსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში. აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა, თუ როგორ შეძლო ესტონეთის სახემწიფომ ასეთი შედეგების მიღწევა.

ყველაფერი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, მაშინ, როდესაც 1996 წლის დასაწყისში ესტონეთის მთავრობამ შექმნა ეროვნული კომიტეტი, რომლის ამოცანა იყო სკოლებში საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციის პროექტის შემუშავება. პროექტი სახელწოდებით "Tiger Leap" ([www.tiigrihype.ee / rus /](http://www.tiigrihype.ee/rus/)) მიზნად ისახავდა ესტონეთში კომპიუტერული და ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარებას და გაფართოებას საგანმანათლებლო სტრუქტურებში. პროგრამის განხორციელება დაიწყო 1997 წელს. პროგრამა ფინანსდებოდა ნაწილობრივ ესტონეთის მთავრობით, ნაწილობრივ ევროკომისიის პროგრამით, ასევე კერძო შემოწირულობებით და ადგილობრივი ხელისუფლების სახსრებით.

შემდეგი ნაბიჯი იყო 2000 წლის ელექტრონული დოკუმენტის მართვის სისტემის დანერგვა პარლამენტში, სადაც მთლიანად თქვეს უარი დოკუმენტებზე და გადავიდნენ ელექტრონულ ფორმატში. ამ ინიციატივამ მნიშვნელოვნად შეამცირა პარლამენტის სხდომის დრო. ელექტრონულ დოკუმენტაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით, შესაძლებელი გახდა მოკლე ვადებში კანონში ლოგიკური ცვლილებების განხორციელება. ელ.მთავრობის განვითარებამდე მისი წინამორბედი ეტაპი იყო საბანკო სექტორის განვითარება. 90-იანი წლების დასაწყისში ადგილობრივმა

ბანკებმა შექმნეს თანამედროვე სისტემა, რომლის მეშვეობითაც ოპერაციები ხორციელდება ელექტრონულად. ამ სისტემის მუშაობამ ბევრს მისცა სტიმული და სურვილი სახლიდან გაუსვლელად მოეგვარებინა თავისი ფინანსური საკითხები თუ პრობლემები. ამ სექტორის განვითარებამ გამოიწვია შემდგომ ის ფაქტი, რომ საჯარო სამსახურებმაც დაიწყეს მომსახურება ინტერნეტის გამოყენებით.

2005 წელს ესტონეთი იყო პირველი ქვეყანა, სადაც არჩევნები ჩატარდა ინტერნეტის მეშვეობით.

2011 წელს, პირველად მსოფლიოში, გამოყენებული იყო მობილური საარჩევნო ტექნოლოგია. ამ შემთხვევაში ამომარჩევლები იდენტიფიცირებას ახდენდნენ თავისი Mobil-ID -ის დახმარებით. ელექტრონული არჩევნებში ხმის მიცემა შესაძლებელია შეუზღუდავი რაოდენობით, მაგრამ მიიღება მხოლოდ ბოლოს ჯერზე მიცემული ხმა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინტერნეტში არჩევნები რამდენიმე დღე გრძელდება და ყოველთვის მთავრდება ჩვეულებრივი არჩევნების დაწყებამდე. თუ მოქალაქემ ვერ მოახერხა ინტერნეტით სარგებლობა, მას ყოველთვის აქვს საშუალება ტრადიციულად მისცეს ხმა.

2011 წელს დაახლოებით 150 000 ადამიანმა (ამომრჩეველთა 15.4%) ელექტრონულად გააკეთა თავისი არჩევანი, რომელთაგან დაახლოებით 150 ადამიანი მივიდა არჩევნებზე განმეორებით და ხელახლა დაუჭირა სასურველ კანდიდატს.

ამრიგად, ესტონეთის რესპუბლიკაში ელექტრონული მმართველობის დანერგვამ ხელი შეუწყო საინფორმაციო საზოგადოების განვითარებას და შემდეგ ამოცანებს:

- საზოგადოებისა და ბიზნესისთვის საჯარო მომსახურების გაწევის ეფექტურობისა და ეფექტიანობის ამაღლებას;
- ინფორმაციის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება, რადგან ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ხდება წამში უზარმაზარი მონაცემების წარმოდგენა.

- კორუფციის რისკის შემცირება;
- ურთიერთობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამო;
- ბიუროკრატისა და მასთან ერთად ფინანსური ხარჯების შემცირება³².

შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ამ პატარა ქვეყნის პროგრამისტები მსოფლიოში ცნობილი აუდიო და ვიდეო პროგრამა Skype- ის დეველოპერები გახდნენ.

თუმცა, ამ სისტემის განხორციელებისას ასევე იყო გარკვეული პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ბიუჯეტის შეზღუდვებს. ვინაიდან არ იყო სახსრები თავიდანვე შეექმნათ ერთიანი საინფორმაციო ცენტრი, როგორც ეს 2000 წლებში რამდენიმე ქვეყანაში ხდებოდა, შექმნეს დეცენტრალიზირებული მონაცემთა შენახვის სისტემა, რომელიც ერთიანდებოდა საინფორმაციო რეესტრის ერთ დიდ ქსელში.

ელექტრონული მთავრობის განვითარების ძირითადი პრინციპები: ესტონეთში, ისევე როგორც ევროპაში, მთავრობა ორიენტირებულია მომხმარებელზე და იმ პრინციპებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ინფორმაციის ურთიერთქმედებას.

კონცეპტუალური მოდელი: კერძოდ, ეს ეხება სერვერების უსაფრთხოებას. ცენტრალური სერვერი ინახავს ყველა სერვისის აღწერილობას როგორც ტექსტუალურს, ისე სტანდარტიზირებულ ფორმატებში. მოსახლეობის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ელექტრონული პირადობის მოწმობების გამოყენებით, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეუძლიათ გამოიყენონ ყველა სახელმწიფო ინტერნეტ სერვისი ³³.

³² https://knowledge.allbest.ru/law/2c0b65635b2bc78a4c53b88421306d36_0.html

³³ <https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ua/Documents/public-sector/e-government/E-government%20in%20Estonia.pdf>

დღესდღეობით, ელ-მთავრობების განვითარების პროგრამები მსოფლიო ბევრ ქვეყანაში მიიღეს. თუმცა, ასეთი სისტემების ეფექტურობა და შესაბამისად, ელექტრონული დემოკრატიის მოდელის ფუნქციონირება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელიც მოითხოვს ცალკე შესწავლას. ხელისუფლების სურვილი ელექტრონული დემოკრატიის მშენებლობის პრინციპების, ელექტრონული მმართველობის სისტემის აღქმა და მოქალაქეთა ნდობა მის მიმართ, მათი საქმიანობა და კომპეტენცია დემოკრატიის მოდელირების წარმატების განსაზღვრაში დიდ როლს თამაშობს და ცალკეულ სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს.

საინფორმაციო სისტემები მხოლოდ უკვე დადგენილი ადმინისტრაციული პროცესების რეალიზებაზე მუშაობს, ამიტომ საჯარო ადმინისტრაციის ავტომატიზაცია ეფექტურია მხოლოდ ორგანიზაციული რეფორმების შემდეგ. ასევე მისი ეფექტურობაც ორგანიზაციული რეფორმების შედეგებზეა დამოკიდებული.

დღესდღეობით, ელ-მმართველობა გარკვეულწილად არის წარმოდგენილი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, მოხდეს ელექტრონული მმართველობის სისტემის შეფასება. ელექტრონული მმართველობის შეფასების საყოველთაოდ აღიარებული ფორმა არის საჯარო მომსახურების გაწევის ხარისხის შეფასება. ხარისხის შესაფასებლად აუცილებელია ელექტრონული მმართველობის მომსახურების განვითარების ხარისხისა და ეტაპების შეფასება³⁴.

თუ გადავხედავთ საერთო სურათს, დავინახავთ, რომ იმ ქვეყნებს შორის, სადაც ყველაზე მეტადაა განვითარებული ელექტრონული მთავრობა, ძირითადად ფედერალური სახელმწიფოებია. მახასიათებლებიდან შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი ნიშანი, რაც განაპირობებს ელექტრონული მთავრობის წარმატებით განხორციელებას, თუნდაც ის, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიები ეხმარება სახელმწიფოს გადაწყვეტოს

³⁴ https://knowledge.allbest.ru/law/2c0a65625b3bc79b4c53a88421216c36_0.html

ხელისუფლების ცენტრალიზაციის პრობლემა, ასევე ეხმარება სახემწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტურობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესში იყვნენ აქტიური მონაწილეები. ამ ყველაფრიდან გამომდინარე სახემწიფოები საკმაოდ სწერიოზულად უდგებიან ელექტრონული მთავრობის განვითარების საკითხს და ცდილობენ შექმნან სისტემა, რომელიც გლობალიზაციის პროცესში მისცემს საშვალეებს ტანაზრად მიიღონ მონაწილეობა.

2.1 ელ-გამჭირვალობა საქართველოში (ელ-საქართველოს სტრატეგია) —

მსოფლიოში ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მისმა დანერგვამ განაპირობა ის ფაქტი, რომ საქართველოშიც დაიწყო ელექტრონული მთავრობის შექმნაზე მუშაობა.

ეფექტიანი, მოქნილი, გამჭირვალე და საზოგადოებაზე ორიენტირებული მთავრობის - ელექტრონული მთავრობის შექმნის აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, სახემწიფო მართვის ეფექტიანობის ზრდას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით, მეორე მხრივ, მოქალაქის როლის გაძლიერებას სახელმწიფო მართვის პროცესში, საქართველოშიც დღის წესრიგში დადგა.

დღესდღეობით ეფექტიანი სახემწიფო მმართველობა მსოფლიო პრობლემაა. სახემწიფო მართვის გამჭირვალობა, საქმის წარმოების სისტემური ანგარიშგება, სამართლიანი და უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ხალხის მომსახურება - ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან და ეფექტიან სახემწიფო მართვის სიტემას და საზოგადოების დინამიურ სოციო-ეკონომიკურ თუ პოლიტიკის განვითარებას³⁵.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, სახემწიფოს ეფექტურად მართვა ელექტრონული მმართველობის გარეშე ვერ მოხდება. ელექტრონული მთავრობა მართვის თანამედროვე მოდელია. იგი თითოეული მოქალაქეს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სარგებლით უზრუნველყოფს.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელიც 2011 წელს OGP-ის (ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership - OGP) შეუერთდა და არა ერთი მნიშვნელოვანი რეფორმაც განახორციელა.

³⁵ <https://idfi.ge/ge/e-governance-in-georgia-world-tendencies>

2014 წელს საქართველო OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრი გახდა, ხოლო 2016 წელს - თანათავმჯდომარე სახელმწიფო 2017-2018 წლების ვადით. როგორც თავმჯდომარე ქვეყანამ, საქართველომ 2018 წლის 17-19 ივლისს OGP-ის მეხუთე გლობალურ სამიტს უმასპინძლა.

„ღია მმართველობა საქართველოს -2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა“ გეგმაა, რომელიც შემუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ.

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ ახალი სამოქმედო გეგმის ვალდებულებებთან დაკავშირებით რეკომენდაციები რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისაგან მიიღო. მათ შორის არიან ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. სამდივნოს რეკომენდაციები წარუდგინა USAID-მა და გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP). აღნიშნული რეკომენდაციების გაზიარების მიზნით სამდივნომ რელევანტურ უწყებებთან ინდივიდუალური შეხვედრები გამართა. შედეგად, რეკომენდაციების ნაწილი სამოქმედო გეგმაში აისახა³⁶.

გეგმაში საუბარია იმ საკითხების გარშემო, რომელთა მონიტორინგი და განვითარების ხელშეწყობა ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისათვის, მასში ძირითადი აქცენტი მანიც [საჯარო](#) მომსახურების გაუმჯობესებაზეა გაკეთებული, რაც გარკვეულწილად მიიღწევა სწორედ ღია და გამჭვირვალე პროცესებით და მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით ამ პროგრამებში. ვინაიდან ყველა და ყველაფერი მოქალაქეებისთვის კეთდება, შესაბამისად, ისინი მაქსიმალურად უნდა იყვნენ ინფორმირებულები იმ პროგრამების შესახებ, რის განხორციელებასაც სახელმწიფო გეგმავს. ეს კიდევ ერთხელ, დემოკრატიის გამოხატულებაა.

³⁶ [http://procurement.gov.ge/getattachment/International-Cooperation/Action-Plans/\(OGP\)/OGP-2018-2019-AP.pdf.aspx](http://procurement.gov.ge/getattachment/International-Cooperation/Action-Plans/(OGP)/OGP-2018-2019-AP.pdf.aspx)

ეს გეგმა გამოხატავს მზაობას სახემწიფოს მხრიდან იყოს ღია და გამჭვირვალე, ამის მისაღწევად კი 2009 წელს, საქართველოს მთავრობამ ერთ-ერთ პრიორიტეტად ელექტრონული მმართველობის დანერგვა გამოაცხადა³⁷. მნიშვნელოვანია ელექტრონული მმართველობის წილი „ღია მმართველობის ინიციატივის“ განხორციელების ჭრილში, აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ერთერთი პირველი ინიციატივა სწორედ გამჭვირვალე და ღია მთავრობა იყო. ინიციატივა სამ პოსტულატზე დააფუძნა:

გამჭვირვალობა: ხელისფლებამ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეები ინფორმაციით მთავრობის საქმიანობის შესახებ, რათა იყოს უფრო ანგარიშვალდებული მათ წინაშე.

მონაწილეობა: ხელისუფლებამ აქტიურად უნდა გაითვალისწინოს გარე წყაროდან მიღებული ექსპერტული შეფასებები, რათა ინფორმაციის მირების ხარჯზე გაუმჯობესდეს მისი პოლიტიკა.

თანამშრომლობა: ოფიციალურმა პირებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და მოქალაქესთან ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით³⁸.

ელექტრონული გამჭვირვალობის კუთხით საქართველოშიც დადებითი ტენდენციები შეინიშნება, პირველ რიგში აღსანიშნავია სახემწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა, რაც 2010 წელს განხორციელდა. ვებოპრტალი უზრუნველყოფს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოს სახემწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის (www.procurement.gov.ge).

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანახმად, საქართველო ლიდერია სახემწიფო შესყიდვების სისტემის დანერგვის მხრივ რეგიონის 26 ქვეყანას შორის. საერთაშორისო გამჭვირვალობა

³⁷ https://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Esevice_GEO.pdf

³⁸ <https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files/Chapter%20I%20geo.pdf> გვ 9

საქართველოს, მიაჩნია რომ საქართველოს შესყიდვების სისტემა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და იგი მსოფლიოში ყველაზე გამჭირვალე და ეფექტური სისტემაა³⁹.

ყველა ასპექტიდან გამომდინარე, მივდივართ დასკვნამდე, რომ ელექტრონული გამჭირველობა წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის შედარებით მარტივ ფორმას, რომელიც საჯარო სამსახურს ათავისუფლებს ინფორმაციის მოთხოვნისამებრ მიწოდებაზე გამოყოფილი ზედმეტი რესურსებისაგან, და ამავე დროს, ზრდის სახემწიფოს ანგარიშვალდებულების ხარისხს. მეორე მხრივ, ეს ეხმარება მოსახლეობას, დამატებითი ხარჯებისა და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, მიიღოს მისთვის საჭირო საჯარო ინფორმაცია⁴⁰

2.2 საქართველოში ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზება, საინფორმაციო უზრუნველყოფა

საქართველოში ელექტრონული მთავრობის ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის საფუძვლებში მოიაზრება ელექტრონული მმართველობის სისტემის ყველა -ცენტრალური, რეგიონალური და მუნიციპალური დონის ორგანოების მოდელის შექმნა, რომელთა შორის განსაზღვრული და გარკვეული იქნება კომპეტენციები, ურთიერთკავშირები და ურთიერთქმედების მექანიზმები. მასში ასევე იგულისხმება ელექტრონულ მმართველობაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის ლოგიკური მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს საჯარო სამსახურის სტრუქტურის ფუნქციებთან და კომპეტენციებთან ლოგიკურ კავშირს, ელექტრონული მთავრობის საქმისწარმოების სტანდარტების და ა.შ დაწესებას⁴¹.

³⁹ https://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Esevices_GEO.pdf 23

⁴⁰ ელ-გამჭირვალობის დანერგვა საქართველოში 2007 , 5

⁴¹ <https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43SVV9LLWk1cDIzeE0/view>

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მთავრობის რეალიზების გზაზე არსებობს რიგი ბარიერები და გამოწვევები, როგორცაა: გამოწვევები IT მოწყობილობების გამოწვევების გზაზე, სირთულე კომუნიკაციურ პროცესში, საზოგადოებრივი სექტორის სისუსტეები, უსაფრთხოების მექანიზმების ხელშეწყობა, ინტეგრირება, ელექტრონული მთავრობის ინტეგრაციის ტექნოლოგიური სირთულეები, შეზღუდვები ელექტრონული მთავრობის პარამეტრების, ფუნქციების, სტანდარტების, ხარისხის შეფასების მეთოდებისა და მაჩვენებლების შემუშავებასა და განსაზღვრაში, მუდმივი ელექტრონენერჯის, ტელეკომუნიკაციის, ინტერნეტწვდომის, საიმედო ტექნიკური უსაფრთხოების კონტროლის განხორციელების სირთულეები და წინააღმდეგობები⁴²

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მთავრობის რეალიზების გზაზე არსებობს რიგი ბარიერები და გამოწვევები, როგორცაა: გამოწვევები IT მოწყობილობების გამოწვევების გზაზე, სირთულე კომუნიკაციურ პროცესში, საზოგადოებრივი სექტორის სისუსტეები, უსაფრთხოების მექანიზმების ხელშეწყობა, ინტეგრირება, ელექტრონული მთავრობის ინტეგრაციის ტექნოლოგიური სირთულეები, შეზღუდვები ელექტრონული მთავრობის პარამეტრების, ფუნქციების, სტანდარტების, ხარისხის შეფასების მეთოდებისა და მაჩვენებლების შემუშავებასა და განსაზღვრაში, მუდმივი ელექტრონენერჯის, ტელეკომუნიკაციის, ინტერნეტწვდომის, საიმედო ტექნიკური უსაფრთხოების კონტროლის განხორციელების სირთულეები და წინააღმდეგობები⁴³.

სახემწიფო სერვისების განვითარების სააგენტო საქართველოში ხელს უწყობს ელექტრონული მთავრობის განვითარებას.(sda.gov.ge) მისი ფუნქცია ზოგადად არის სახემწიფო მომსახურების განვითარების ხელშეწყობა, ინოვაციური სერვისების დარგვა საჯარო სექტორში, მოსახლეობის რეესტრის წარმოება და მუდმივი სრულყოფა, მასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაცემა.

⁴² <https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43SVV9LLWk1cDIzeE0/view>

⁴³ <https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43SVV9LLWk1cDIzeE0/view>

უკანასკნელ წლებში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის პროცედურების გამარტივება. ამ მიზნით მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ შეიქმნა და 2012 წლის მაისში ამუშავდა მოქალაქის პორტალი my.gov.ge, სადაც მოქალაქეს შეუძლია სხვადასხვა მომსახურების მიღება ახალი პირადობის მოწმობის გამოიყენებით. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები, რომლებიც საშვალეებს აძლევს მომხმარებლებს სახლიდან თუ სამუშაო ადგილიდან გაუსვლელად დისტანციურად, ერთი ფანჯრის პრინციპით ისარგებლონ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების ენებით, ან მომხმარებლის სახელისა და პაროლის მეშვეობით⁴⁴. აღნიშნულ პორტალზე ინტეგრირებულია ათეულობით სერვისი და მათი ირცხვი მუდმივად იზრდება.

მნიშვნელოვანია მოქალაქე პორტალის როლი ღია მმართვეობის ინიციატივის განხორციელების მიმართულებითაც. პორტალზე განთავსებულია შესაბამისი სექცია, რომლის დახმარებითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან ელექტრონულად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია და პასუხიც პორტალზევე მიიღოს⁴⁵.

2011 წლის 1 აგისტოდან დაიწყო საქართველოში ახალი პირადობის მოწმობების გაცემა, პირველი რაც თვალში საცემია ამ ფაქტთან დაკავშირებით, არის ის რომ მას გააჩნია ელექტრონული შესაძლებლობები. მასზე ადტანილი ელქტონული ინფორმაცია იცავს მის მფლობელ პირს პირადი ინფორმაციის გაყალბებისაგან. ახალი პირადობის ელექტრონული ბარათებით მოქალაქეებს ძალიან ბევრი მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა აქვს სახლიდა, სამსახურიდან გაუსვლელად.

ამ კუთხით მეტად საინტერესო და აღსანიშნავია მომხმარებლის პირადი გვერდი - მოქალაქის პორტალი-ჩემი ელექტრონული მთავრობა. ეს არის

⁴⁴ <https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43SVV9LLWk1cDIzeE0/view>

⁴⁵ <https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43SVV9LLWk1cDIzeE0/view>

სივრცე, სადაც მოცემულია პიროვნებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია და სერვისების ჩამონათვალი.

რაც შეეხება უსაფრთხოების რისკებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებით, my.gov.ge -ს პალტფორმა აგებულია მსოფლიოს საინფორმაციო ტექნოლოგიების უკანასკნელ მიღწევებზე, რაც მომხმარებლინფორმაციის სრულს დაცულობას უზრუნველყოფს. **თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენადაც წინ მიდის მონაცემების დაცულობაზე ზრუნვის ტექნოლოგიების გავნითარება, კიბერშეტევისაგან მაინც ბოლომდე არ ვართ დაცულები.**

ასევე შემოსავლების სამსახურის ოფიციალური გვერდი - rs.ge საკმაოდ ინფორმაციული ხასიათისაა. მას აქვე აქვს სპეციალური განყოფილება შეზღუდული შესაძლებლობების მქონდე პირთათვის, აქ, ისევე როგორც სხვა ელექტრონულ პორტალებზე, მუდმივად განახლებადი ინფორმაციაა არსებულ ისახლეებზე, კანონმდებლობაზე, სტატისტიკაზე და იმ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად არის ჩართული შემოსავლების სამსახური.

ელექტრონული მმართველობის განვითარებას მოაქვს მრავალი სარგებელი მოქალაქეებისა და ბიზნესისათვის. ელექტრონული მთავრობის განვითარების პირველი სტადია გულისხმობს საჯარო ინფორმაციის ონლაინ ხელმისაწვდომობას. სახემწიფო ორგანიზაციების ვებგვერდები და სხვა საჯარო ელექტრონული რესურსები, უნდა იყოს ორგანიზებული ისე, რომ მოქალაქემ ადვილად მოიძოს და სრულყოფილი ფორმით მიიღოს მისთვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი სახის ინფორმაცია.

ელექტრონული მთავრობის განვითარების შემდგე სტადიაზე ინფორმაციის მიღებასთან ერთად, შესაძლებელია ამ ინფორმაციის სისრულის, სიზუსტისა და განახლების ოპერატიულობის შესახებ უკუკავშირის ქონა. ელექტრონული მთავრობის განვითარების ამ სტადიაში მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულნი ონლაინ კომინიკაციაში სხვადასხვა სამთავრობო ინიციატივებთან და პროექტებთან მიმართებაში.

ეროვნული სერვისების არსებობა, საშვალეხას აძლევს მოქალაქეებსა და ბიზნესს ისარგებლონ სახელმწიფო მომსახურების ფართო სპექტრით. ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანია მიიღოს მომსახურება მაქსიმალური კომფორტით და მინიმალური დანახარჯებით.

თუმცა, ამ შემთხვევაშიც არის გარკვეული ლაფსუსები, ვინაიდან სევისებით სარგებლობისათვის მოქალაქეებს სჭირდება სხვადასხვა სისტემაში დარეგისტრირება, რაც ამ სისტემების მზარდი რაოდენობიდან გამომდინარე, ქმნის გარკვეულ დისკომფორტსა და უსაფრთხოების დარღვევის რისკებს⁴⁶.

მიუხედავად ყველაფრისა, ელექტრონული სერვისების განვითარებამ საქართველოში ბევრი დადებითი მუხტი მოიტანა, როგორცაა სახელმწიფო სერვისების მომხარებელთა გაზრდილი რაოდენობა, ხარჯებისა და დროის შემცირება სერვისი მიღების პროცესში, შეამცირა კორუფციის მაჩვენებელი და გაზარდა კმაყოფილი მომხრებლების რიცხვი, თუმცა უარყოფითი კომენტარის სახით შეიძლება იტყვას, რომ გაზრდილი რიცხვების ფონზე, სახელმწიფოს არ აქვს ზუსტი სტატისტიკა, ელექტრონულ ფორმატში მომხმარებლების რაოდენობისა.

საქართველომ გაეროს 2018 წლის ელექტრონული მმართველობის კვლევაში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული ჩართულობის განვითარების კუთხით ქულები მცირედით გაიუმჯობესა , ელ-მმართველობის ინდექსში მხოლოდ ერთი პოზიციით გაუმჯობესდა-193 ქვეყანას შორის 60-ე ადგილი უკავია, ხოლო ელ-ჩართულობის მხრივ, პირიქით, თერთმეტი ადგილით დაქვეითდა და 87 ადგილზე ჩამოვიდა. აღნიშნული სხვა ქვეყნების მიერ ამ მიმართულებით საქართველოსთან შედარებით უფრო სწრაფი განვითარების ტემპით შეიძლება აიხსნას. პოსტსაბჭოთა 15 ქვეყანას შორის ელ-მმართველობის მხრივ 7, ელ-ჩართულობის მხრივ კი 12 ადგილი უკავია, თუმცა აღსანიშნავია რომ ორი

⁴⁶ http://www.dea.gov.ge/?action=page&p_id=199&lang=geo

წლის წინ, 2014 წელს, ორივე რეიტინგში საქართველოს მე-7 ადგილი ეკავა⁴⁷.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ორ წელიწადში ერთხელ ამზადებს კვლევას, რომლის მიზანია 193 ქვეყანას შორის გამოვლინოს ორი ინდექსის რეიტინგი: 1-ელ-მმართველობის განვითარების ინდექსი, 2- ელ-ჩართულობის ინდექსი.

ამ კვლევის საფუძველზე გაერო იღებს შედეგებს იმის შესახებ, თუ როგორია არსებული გამოწვევები და ამ გამოწვევების ფონზე, ელექტრონული მმართველობის განვითარების ტენდენციები. განსაკუთრებით საინტერესოა ის მიმართულებები, თუ კონკრეტულად რას აქცევენ კვლევის დროს ყურადღებას. ელ-მმართველობის შემთხვევაში ეს არის სამი კომპონენტი:

„ ონლაინ სერვისები - ფასდება ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სამთავრობო ვებგვერდები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნული პორტალების, ელ-სერვისებისა და ჩართულობის ელ-პლატფორმების არსებობას. 2. სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - ეს კომპონენტი, თავის მხრივ, შემდეგ ქვეკომპონენტების მოიცავს: ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა, მობილური ტელეფონის მომხმარებელთა რიცხვი, უსადენო ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი და ა.შ. საქართველოს ყველაზე დაბალი შედეგი ამ კომპონენტში აქვს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის საშუალო მაჩვენებელს (საქართველო - 0.54 ქულა; ევროპა - 0.68 ქულა). მართალია, შენარჩუნებულია ინტერნეტ მომხმარებელთა ზრდის ტენდენცია, თუმცა ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 42%-ს ინტერნეტზე წვდომა ჯერ კიდევ არ აქვს (სურათი #3).

ელ-მმართველობის ინფრასტრუქტურის განვითარების კონტექსტში ხაზგასმულია კიბერ უსაფრთხოების მნიშვნელობაც. საქართველო მოხვდა

⁴⁷ <https://agora.ge/new/24084-IDFI-saqartvelo-gaeros-eleqtronuli-mmartvelobis-indeqsshi>

იმ 10 ქვეყანას შორის, რომელთაც კიბერ უსაფრთხოების სტანდარტები მაღალ საფეხურზე აქვთ აყვანილი და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) კიბერ უსაფრთხოების გლობალურ ინდექსში ყველაზე მაღალი ქულები აქვთ მიღებული.3. ადამიანური კაპიტალი – რა პოტენციალი აქვს მოსახლეობას იმისთვის, რომ მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები⁴⁸.

შედარების დროს ნათლად ჩანს, რომ შეფასების სამივე კომპონენტი მცირედით, მაგრამ ნელნელა უმჯობესდება:

გაეროს კვლევების მიხედვით ⁴⁹

	ელ- მმართველობის ინდექსი	ონლაინ სერვისების კომპონენტი	ადამიანური კაპიტალის კომპონენტი	ადგილი მსოფლიო რეიტინგში
2012	0.5563	0.6013	0.8348	72
2014	0.6047	0.5984	0.7895	56
2016	0.6108	0.6377	0.7763	61
2018	0.6893	0.6944	0.8333	60

ელექტრონული ჩართულობის ინდექსის შეფასების დროსაც ექსპერტები სამ კომპონენტს იყენებენ. აღნიშნული ეხმარება კვლევას, გაირკვეს, თუ რამდენადაა მზად ხელისუფლება ახალი ტექნოლოგიების დახმარებით ელექტრონულ მთავრობას ხელი შეუწყოს მმართველობით პროცესში მოქალაქე იყოს ჩართული მაქსიმალურად.

- „1. ელ-ინფორმაცია: მოქალაქეებისთვის რამდენად ხელმისაწვდომია საჯარო ინფორმაცია, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე;
2. ელ-კონსულტაცია: რამდენად აქვთ მოქალაქეებს შესაძლებლობა ჩაერთონ საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში;
3. ელ-გადაწყვეტილების მიღება: რამდენად უწყობს ხელს ხელისუფლება

⁴⁸<https://agora.ge/new/24084-IDFI-saqartvelo-gaeros-eleqtronuli-mmartvelobis-indeqsshi>

⁴⁹<https://agora.ge/new/24084-IDFI-saqartvelo-gaeros-eleqtronuli-mmartvelobis-indeqsshi>

მოქალაქეებს იმაში, რომ ისინი გახდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესის თანამონაწილეები და რა დონეზე არის განვითარებული ამ ტიპის ონლაინ სერვისები.⁵⁰

უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ქულა კომპონენტის ამ ნაწილში შემცირდა. კვლევას თუ გადავხედავთ, 2014 წლიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით ეს მაჩვენებელი განიცდის უკუსვლას: გაეროს კვლევების მიხედვით ⁵¹

	ელ- ჩართულობის ინდექსი	ელ- ინფორმაცია	ელ- კონსულტაცია	ელ- გადაწყვეტილების მიღება	ადგილი მსოფლიო რეიტინგში
2012	0.2105				73
2014	0.5882	88.89%	27.27%	11.11%	49
2016	0.5593	73.50%	47.40%	0.00%	76
2018	0.6236	73.33%	69.57%	45.45%	87

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ელ-გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმში მაჩვენებლის ზრდა სავარაუდოდ გამოიწვია იმან, რომ 2017 წელს მთავრობის მიერ გაშვებულ იქნა ელექტრონული პეტიციების პორტალი ICHANGE.GOV.GE. აღნიშნული პორტალი საკმაოდ საინტერესო, დღემდე მოქმედი, განახლებადი და საკმაოდ დატვირთულია პეტიციებით, რომლებსაც ჩვეულებრივი მოქალაქეები წარუდგენენ მთავრობას. ყველაზე მეტად მოსახერხებელი და შესაბამისად ხშირად გამოყენებადი ონლაინ სერვისებიდან გაეროს კვლევის მიხედვით გამოვლენილია შემდეგი სერვისები: ბიზნესის დარეგისტრირება(126 ქვეყანა), საშემოსავლო გადასახადის გადახდა (139 ქვეყანა) და ბოლოს, ყველაზე მოსახერხებელი-კომუნალური გადასახადების გადახდა ონლაინ რეჟიმით (140 ქვეყანა). ინდექსი გაზარდა იმანაც, რომ ქვეყნებში და ძირითადად ჯერჯერობით

⁵⁰ <https://agora.ge/new/24084-IDFI-saqartvelo-gaeros-eleqtronuli-mmartvelobis-indeqsshi>

⁵¹ <https://agora.ge/new/24084-IDFI-saqartvelo-gaeros-eleqtronuli-mmartvelobis-indeqsshi>

განვითარებულ ქვეყნებში, უფრო მეტი სერვისი ხდება ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონდე პირთათვის. სულ უფრო იზრდება ქვეყნების რიცხი, რომლებიც მეტად იყენებენ სერვისების მიწოდებისას სმს, ელ.ფოსტას, მობილურ აპლიკაციებს, მეტად აქტიურდება ასევე სოციალური ქსელებიც.

ამ პროცესების ფონზე საქართველოს მართალია დიდი შრომა აქვს გაწეული და ამას კვლევები და სტატისტიკებიც ადასტურებს, მაგრამ სამწუხაროდ გასაკეთებელიც ბევრი რჩება იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის ინდექსი უფრო მაღლა ავიდეს და მეორეც, უფრო მეტმა მოქალაქემ ისარგებლოს და მიიღოს შედეგიანი, ხარისხიანი მომსახურება ონლაინ სერვისების გამოყენების გზით. მაგალითად, დიდ შედეგს მოიტანს ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონის ამოქმედება, რაც შეიძლება მეტი საჯარო სერვისის მალე გაციფრულება. ამ მხრივ შედარებით ცუდ დღეშია საქართველოს რეგიონები. არათანაბარი მდგომარეობა ნეგატიურად აისახება ელ-მმართველობის რეიტინგზე ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის. დღეს ციფრულ ქეთნოლოგიებს მართალია იყენებენ რამდენიმე რეგიონებში, მაგრამ მართი რიცხვი გაცილებით ნაკლებია, რაც უფრო მეტ ყურადღებასა და მუშაობას მოითხოვს.

თავი 3. ელექტრონული მთავრობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

3.1 ელექტრონული მთავრობის ძლიერი და სუსტი მხარეები,

საფრთხეები და განვითარების პერსპექტივები

თანდათან ნათელი ხდება, რომ როგორც არ უნდა მოხდეს ელექტრონული მთავრობის განვითარება, ნელი ტემპით, ჩქარი ტემპით, ლაფსუსებით თუ ხარვეზებით, მსოფლიო განვითარების შევადგასების ფონზე ვრწმუნდებით, რომ გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების პროცესი შეუქცევადია. ელექტრონული მმართველობის განხორციელების უპირატესობები და სარგებელი მნიშვნელოვანია როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის.

ელექტრონული მმართველობას ბევრი სარგებელი მოაქვს მოქალაქეებისათვის, ბიზნესისთვისა და სამთავრობო უწყებებისთვის. აპლიკაციები საშვალეებს აძლევს ყველას სახელმწიფო სექტორები იყოს მუდმივად ხელმისაწვდომი 24 საათის განმავლობაში, 7 დღე კვირაში, რას აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს⁵².

ელექტრონული მთავრობის მიზანი არ არის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება ინტერნეტის საშვალეებით, იგი გარკვეულწილად „აიძულებს“ მთავრობას გააუმჯობესოს ფუნქციები და გარკვეულწილად მეტად მოახდინოს ინტეგრაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა ინტეგრაციის გზაზე არსებობს რამდენიმე პრობლემა და ბარიერი, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს ელექტრონული მთავრობის განვითარების პროცესი, ეს უფრო მეტად გამოხატულია განვითარებად ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც. გამოიყოფა რამდენიმე ასპექტი ხელისშემშლელი პირობების :

ტექნიკური -ICT ინფრასტრუქტურა, კონფიდენციალურობა, უსაფრთხოება ორგანიზაციული - კვალიფიციური და პროფესიონალური კადრების ნაკლებობა⁵³.

⁵² <https://core.ac.uk/download/pdf/143886366.pdf>

⁵³ <https://core.ac.uk/download/pdf/143886366.pdf>

სოციალური - ციფრული დაყოფა, ვის აქვს და ვის არა ინტერნეტთან და კომპიუტერთან წვდომა, კულტურა

ფინანსური - არის საკმაოდ ფინანსებზე დამოკიდებული.

ამ მხრივ საქართველოს მეტნაკლებად მოსაგვარებელი აქვს გარკვეული საკითხები. გარდა ამისა, როცა ვსაუბრობთ ელექტრონულ მთავრობაზე საქართველოში, ძლიერ მხარეებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია სუსტი მხარეების აღნიშვნა. ძლიერ მხარეებში პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ელ-სერვისების არსებობა, რაც ხელმისაწვდომია მოქალაქეების ყველა კატეგორიისთვის, მარტივად გამოსაყენებელია, აღსანიშნავია მომსახურების სიჩქარე და ეს ყველაფერი მომსახურების საფასურის არსებობის გარეშე, გარდა ამისა, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების განახლების ხარჯზე, ადამინური რესურსი მუდმივად მოითხოვს მოხელის გადამზადებას და კვალიფიციური კადრის არსებობას, რაც შეეხება საერთაშორისო, განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, ეს ხელს უწყობს ნაკლები ხარვეზებისა და შეცდომების ხარჯზე, მეტი დადებითი სერვისის განვითარებასა და ეროვნულ ფასეულობებზე მორგებას.

სუსტ მხარეებზე საუბრის დროს აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა რომ საქართველოს გარკვეული მიღწევები და შედეგები აქვს ელექტრონული მთავრობის განვითარების კუთხით, რაც არაერთი პორტალის არსებობასა და მუშაობაში გამოიხატება, პრობლემას წარმოადგენს ქსელის გავრცელება და მოსახლეობის კომპიუტერებით აღჭურვა, განსაკუთრებით მაღალთიან და ნაკლებად დასახლებულ პუნქტებში. ეს ელექტრონულ ჩართულობას (ელ-ინკლუზია) საკმაოდ ასუსტებს. ასევე არ არსებობს შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც დაეხმარებოდა სახემწიფოს ელექტრონული მთავრობის სივრცის მონიტორინგში, გარკვეულწილად სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის არარსებობა. თუმცა ამ ყველაფერსაც აქვს თავისი გამომწვევი მიზეზები. როგორც ჯერ კიდევ განვითარების სტადიაზე მყოფ ქვეყანას, სახელმწიფოს აქვს ჯერჯერობით დაუძლეველი პრობლემები,

როგორცაა პირველ რიგში ეკონომიური სიდუხჭირე, სიღარიბე, რას შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას უშლის ხელს; მიუხედავად ბევრი სიკეთისა, კერძო ბიზნესი ფრთხილობს და შედარებით ნაკლებადაა დაინტერესებული ჩადოს ინვესიცია ამ სფეროში (ესტონეთის მაგალითზე რომ ვისაუბროთ, ამ ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის განვითარებისათვის სახემწიფოსთან და თანადაფინანსებასთან ერთად, კერძო ბიზნესმაც დიდი წვრილი შეიტანა). რისკის ქვეშაა ასევე ინფორმაციის უსაფრთხოება, მიუხედავად გამლიერებული დაცვის პროგრამებისა, კიბერდანაშაულების რისკი მაინც დიდია.

სუსტი მხარეების არსებობა გარკვეულწილად ზრდის ასევე საფრხეების რისკს. ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ელექტრონული მთავრობის განვითარების გეგმას.

ელექტრონული მთავრობის არსებული მომსახურების არასაკმარისი გამოყენება ქსელებისა და ყველასათვის კომპიუტერის ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო, არადა აღნიშნული პროგრამები მეტად სასარგებლო და პროდუქტიულია სწორედ რეგიონების იმ მოსახლეობისათვის, რომლებიც ცენტრისაგან გარკვეული მანძილით არიან დაშორებულები და ამ სერვისით სარგებლობა მათთვის დროისა და ფინანსების დაზოგვის ხარჯზე საკმაოდ მომგებიანი იქნებოდა.

არსებობს რეკომენდაციები, როგორ შეიძლება ამ ყველაფრის დაძლევა და მეტი ადამიანისათვის მეტი სიკეთის მოტანა, ასევე როგორც ზევით აღნიშნეთ, რაც უფრო მეტი ადამიანია ჩართული ქვეყნის მართვაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეების გზით, მით მეტია დემოკრატიისა და განვითარების ხარისხი ქვეყანაში. უპირველეს ყოვლისა აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ალბათ უგუნება იქნებოდა სხვისი შეცდომების გამეორება მაშინ როცა მათი გათვალისწინებით ნაკლები ხელისშემშლელი ფაქტორი იქნებოდა ელ-მთავრობის განვითარებაში. ასევე მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, მაქსიმალურად უნდა გაკეთდეს

ყველაფერი იმისათვის, რომ საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიები რაც შეიძლება მეტ ადამიანამდე მივიდეს, ამასთან მეტად მარტივი და მოქნილი სერვისები შეთავაზოს სახემწიფომ თავის მოქალაქეებს.

დასკვნა

2018 წლის გაეროს კვლევის შედეგებმა საქართველოსთან მიმართებაში აჩვენა, რომ ორივე ინდექსში მდგომარეობა საგრძნობლად არ შეცვლილა პირიქით, ერთი ინდექსის შემთხვევაში უფრო დაქვეითდა. აღნიშნული კვლევა იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, რომ დაგვანახოს, სად არის ლაფსუსი, რომ შემდგომ მოხდეს მისი გამოსწორება. დასკვნის სახით შეიძლება გაკეთდეს რეკომენდაციები, რაც დაეხმარება სახემწიფოს შემდეგი წლების კვლევებში გაცილებით უფრო კარგი შედეგები დადოს. ზევითაც აღვნიშნეთ და კიდევ გავიმეორებ, რომ პირველ რიგში აუცილებელია სერვისების ონლაინ ხელმისაწვდომობის მეტი უზრუნვეყოფა, ასევე გაცილებით მეტი ადამიანის ინფორმირება და გამოყენებისათვის მათი წახალისება. ეკონომიური სიღუბეჭირის ფონზე მნიშვნელოვანია, რომ გაცილებით მეტ ადამიანს ჰქონდეს ასევე ინტერნეტთან წვდომა, ვინაიდან ის ელექტრონული სერვისები რაც იქმნება და საკმაოდ დიდი რესურსი და ფინანსები იხარჯება მის გაშვებაში, მიზნობრივად იყოს გამოყენებული უფრო მეტი ადამიანის ჩართულობით. გამოყენების სურვილი გაცილებით დიდია, ვიდრე ფინანსური მდგომარეობა, ჰქონდეთ წვდომა ამ მომსახურებაზე. ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრაზე, რაც ძირითადად რეგიონების ხარჯზე ხდება.

ამ საკითხების გადასაჭრელად აუცილებელია ხელისუფლებამ უფრო ამბიციური დღის წესრიგი უნდა ჩამოაყალიბოს, მეტად მომთხოვნი, მიზანდასახული, თანმიმდევრული და ინოვაციური უნდა იყოს. განსაკუთრებით საინტერესო ამ პროცესში საზღვარგარეთის გამოცდილების გათვალისწინება იქნება, ვინაიდან მეტი გამოცდილება შეცდომების დაშვების რისკს ამცირებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://core.ac.uk/download/pdf/143886366.pdf>
2. http://www.dea.gov.ge/uploads/Egov_GuideBook.pdf
3. <https://agora.ge/new/24084-IDFI-saqartvelo-gaeros-eleqtronuli-mmartvelobis-indeqsshi>
4. http://www.dea.gov.ge/?action=page&p_id=199&lang=geo
5. <https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43SVV9LLWk1cDIzeE0/view>
6. ელ-გამჭირვალობის დანერგვა საქართველოში
7. https://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Esevices_GEO.pdf 23
8. <https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files/Chapter%20I%20geo.pdf> გვ 9
9. https://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Esevices_GEO.pdf
10. [http://procurement.gov.ge/getattachment/International-Cooperation/Action-Plans/\(OGP\)/OGP-2018-2019-AP.pdf.aspx](http://procurement.gov.ge/getattachment/International-Cooperation/Action-Plans/(OGP)/OGP-2018-2019-AP.pdf.aspx)
11. <https://idfi.ge/ge/e-governance-in-georgia-world-tendencies>
12. https://knowledge.allbest.ru/law/2c0a65625b3bc79b4c53a88421216c36_0.html
13. <https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ua/Documents/public-sector/e-government/E-government%20in%20Estonia.pdf>
14. <http://ref-4you.ru/e-lektronnoe-pravitel-stvo/#ixzz5nFIcKr3M>
15. <http://ref-4you.ru/e-lektronnoe-pravitel-stvo/#ixzz5nFIcKr3M>
16. გ. კიკნაძე. საქართველოში ინფორმაციის გამჭირვალობის სამართლებრივი ბაზის მიმოხილვა, თბილისი, 2007
17. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.24&d=HASH01bbd3b41310eb4baa85915f>=2>
18. ელექტრონული მთავრობის განვითარების მოდელი ელექტრონული სერვისების ბაზაზე
19. <http://inso.ge/inso2017/wp-content/uploads/2017/07/1-zautashvili-qarqashadze.pdf>
20. ელექტრონული მთავრობის ცნება და განვითარების მოდელი
21. <http://inso.ge/inso2017/wp-content/uploads/2017/07/1-zautashvili-qarqashadze.pdf>
22. <http://stats.oecd.org/glossary> OECD Glossary of Statistical Terms
Gil-Garcia, J. R., & Luna-Reyes, L. F. (2006). Integrating conceptual approaches to e-government. In M. Khosrow-Pour (Ed.), Encyclopedia of e-commerce, e-government and mobile commerce (pp. 636–643). Hershey, PA: Idea Group Inc.
23. <http://www.worldbank.org/en/topic/ict/brief/e-government> World Bank . What is e-Government?
24. <http://www.gpo.gov/fdsys/pkg/PLAW-107publ347/pdf/PLAW-107publ347.pdf>
E-Government Act (2002) Pub. L. No. 107–347, 116 Stat. 2899, at 2902
25. <http://unpan3.un.org/egovkb/Portals/egovkb/Documents/un/English.pdf>
UNDPEPA, and ASPA. (2002). “Benchmarking E-government: A Global Perspective: Assessing the Progress of the UN Member States.” Retrieved from
26. Мельникова Т. Абубикерова Э., **Электронное правительство**, Саратов , 2018

